

ევფემიზმების გამოყენების საკითხისათვის ინგლისურენოვან ბიზნეს დისკურსში

შაშვიაშვილი ქეთევან

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.25>

აბსტრაქტი. ენა გადამწყვეტ როლს თამაშობს საქმიან, კომერციულ გარემოში კომუნიკაციისას. იგი ეფექტური თანამშრომლობისა და ურთიერთობების დამყარების საფუძველს წარმოადგენს. დღევანდელ გლობალიზებულ სამყაროში და შესაბამისად ეკონომიკაში ინგლისური ენის სტრატეგიული გამოყენება ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას ბიზნესის სფეროში და კულტურათაშორის ურთიერთობების გაძლიერებას. ბიზნეს ინგლისური ენა გამოირჩევა ფორმალური, პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, თუმცა ზოგჯერ სათქმელის პირდაპირ გადმოცემა შეიძლება უხეშად ან მკაცრად ჟღერდეს. სწორედ ამიტომ, ხშირად მიმართავენ მეტყველების ევფემიზაციას ანუ კეთილსიტყვაობას, შელამაზებულ სიტყვების გამოყენებას. წინამდებარე კვლევის მიზანს სწორედ ბიზნესის ინგლისურ ენაში გავრცელებული ევფემისტური სიტყვებისა და გამონათქვამების კვლევა წარმოადგენს. ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა, თუ რა ფუნქციები აქვს მეტყველების ევფემიზაციას ინგლისურენოვან ბიზნეს გარემოში და რომელია ეს ევფემიზმები. ხაზგასასმელია, რომ საქმიან ურთიერთობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მკაფიო და ზუსტ კომუნიკაციას. შესაბამისად, ევფემიზმების გამოყენებისას, საჭიროა ზომიერების დაცვა, რათა თავიდან იქნას აცილებული გაურკვევლობა ან არასწორი ინტერპრეტაცია, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ეფექტურ კომუნიკაციას. ამგვარად, მივგვაჩნია, რომ ევფემიზმების კვლევა და მათი ენობრივი ფუნქციების დადგენა ბიზნეს კონტექსტში აუცილებელი და აქტუალურია როგორც ენათმეცნიერებისათვის, ისე დარგის სპეციალისტებისათვის. ჩვენი კვლევის პროცესში ძირითადად გამოყენებულია ლინგვისტური დაკვირვებისა და აღწერის მეთოდი. საკვლევ მასალად გამოყენებულია ინგლისურენოვანი სტატიები და ინტერვიუები.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს ინგლისური, ევფემიზმები, მეტყველების ევფემიზაცია, ბიზნეს დისკურსი, ევფემიზმების ფუნქცია.

შესავალი

ინგლისურენოვან ბიზნეს სივრცეში კომუნიკაციისას ევფემიზმების გამოყენება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვინაიდან მოსაუბრეს შესაძლებლობას აძლევს თავისი სათქმელის ზუსტი, თუმცა ამავე დროს ტაქტიანი და დიპლომატიური ფორმულირება მოახდინოს. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, სადაც კულტურული მრავალფეროვნება დიდ გავლენას ახდენს კომუნიკაციის პროცესზე, ისეთი ენობრივი საშუალებების გამოყენება როგორიცაა ევფემიზმები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ნეიტრალური და თავაზიანი ურთიერთობების დამყარებას.

ბიზნესის ენა გამოირჩევა ფორმალური, პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, თუმცა ზოგჯერ სათქმელის პირდაპირ გადმოცემა შეიძლება უხეშად ან მკაცრად ჟღერდეს. სწორედ ამიტომ მოსაუბრეები ხშირად მიმართავენ მეტყველების ევფემიზაციას ანუ კეთილსიტყვაობას, შელამაზებული სიტყვების გამოყენებას. მაგალითად, ფრაზას - „*staff reduction*”(კადრების შემცირება) ხშირად ანაცვლებს „*workforce optimization*”(მომუშავეთა/მუშახელის ოპტიმიზაცია); ან სიტყვას „*fired*”(სამსახურიდან გაშვება) ანაცვლება მისი ევფემისტური ვარიანტი „*downsized*”(წარმოების შემცირება). წარმოდგენილ მაგალითებში ევფემისტური სიტყვები/ფრაზები აშკარად უფრო შერბილებულ შენაცვლებებს წარმოადგენს და მსმენელისათვის ნაკლებად ნეგატიურად აღიქმება.

ევფემიზმების გამოყენებას ინგლისურენოვან ბიზნეს გარემოში სხვადასხვა დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს. მათი ეფექტური გამოყენება აუმჯობესებს კომერციული მოლაპარაკებების პროცესს, ზრდის თანამშრომლობის ხარისხს და ხელს უწყობს პოზიტიური კორპორაციული იმიჯის შექმნას. თუმცა, საყურადღებოა, რომ ევფემისტური გამოთქმების გადაჭარბებულმა გამოყენებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს კომუნიკაციის გამჭვირვალობას და გაუგებრობა გამოიწვიოს. საქმიან გარემოში ურთიერთობებისას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სათქმელის ნათლად და მკაფიოდ გადმოცემას. აქედან გამომდინარე, სასურველია, ევფემისტური გამონათქვამების ზომიერად და მიზნობრივად გამოყენება, რათა თავიდან ავიცილოთ გაურკვევლობა და ამავე დროს შევინარჩუნოთ ეტიკეტი ურთიერთობებში.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ბიზნეს ინგლისურ ენაში გავრცელებული ევფემისტური სიტყვებისა და გამონათქვამების კვლევა. კერძოდ, შევეცადეთ დაგვედგინა, თუ რა მიზანს ემსახურება მეტყველების ევფემიზაცია ინგლისურენოვან ბიზნეს გარემოში და რომელი ევფემიზმებია ესენი.

ჩვენი კვლევის პროცესში ძირითადად გამოყენებულია ლინგვისტური დაკვირვებისა და აღწერის მეთოდი. საკვლევ მასალად გამოყენებულია ინგლისურენოვანი სტატიები და ინტერვიუები.

რა არის ევფემიზმი

ევფემიზმები საკმაოდ ფართოდ შესწავლილი ენობრივი მოვლენაა ლინგვისტიკის სფეროში. ტერმინი „ევფემიზმი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „*euphēmos*“, რაც ნიშნავს „კარგი სიტყვებით ლაპარაკს“ ანუ შელამაზებული სიტყვების გამოყენებას (Allan & Burridge, 1991). ევფემიზმები არაპირდაპირ, შემოვლით აღწერენ ისეთ სიტყვებს ან ფრაზებს, რომლებიც უხეშად, უსიამოვნოდ ან ეთიკურად შეუსაბამოდ მიიჩნევა.

ევფემიზმების ერთ-ერთ ადრეულ განმარტებას ვხვდებით ულმანთან (Ullmann, 1964), რომელიც ევფემიზმებს აღწერს, როგორც გამონათქვამებს, რომლებიც გამოიყენება რეალობის უფრო სასიამოვნო ფორმით "შესანიშნად". ანალოგიურად, როუსონი (Rawson, 1981) აღნიშნავს, რომ ევფემიზმების შენაცვლება ხდება შეურაცხყოფის ან უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებით ტაბუირებული თემების განხილვისას, როგორცაა მაგალითად სიკვდილი, ავადმყოფობა და სხვა. შედარებით ახალ კვლევებში ალანი და ბურიჯი (Allan & Burridge, 2006) აღნიშნავენ, რომ ევფემიზმები თავაზიანი მეტყველების განუყოფელი ნაწილია, რომელიც ასახავს კულტურულ სენსიტიურობას და სოციალური ჰარმონიის საჭიროებას.

კრესპო-ფერნანდესის (Crespo-Fernández, 2008) თანახმად ევფემიზმები ფუნქციონირებენ ზრდილობისა და სოციალური ნორმების ფარგლებში, ხშირად

კონტექსტისა და კულტურული ფონის გავლენის ქვეშ. ლაკოფი და ჯონსონი (Lakoff & Johnson, 1980) კოგნიტური ლინგვისტური პერსპექტივიდან განიხილავენ ევფემიზმებს და აღნიშნავენ, რომ ისინი მეტაფორული ხასიათისაა და ეხმარება მოსაუბრეს დელიკატური, სენსიტიური თემების კონცეპტუალიზაცია მოახდინოს ნაკლებად პირდაპირი ტერმინებით. ბუსმანი (Bussmann, 1996) ენისა და ენათმეცნიერების ლექსიკონში განმარტავს, რომ ევფემიზმი არის რიტორიკული ხერხი, ტროპის სახე: უფრო მისაღები ვერსიაა შეურაცხყოფელი, საძრახისი სიტყვისა, რომელსაც აქვს დამცრობითი კონოტაცია. „...ევფემიზმები ხშირად კარგავენ სემანტიკურ მნიშვნელობას და მის ადგილს ახალი ევფემიზმი იკავებს. მაგ. სასაფლაო graveyard – cemetery – memorial garden.“ (Bussmann, 1996. გვ. 388). ამ აზრს ეხმიანება კიდევ ერთი მკვლევრის პინკერის (Pinker, 2007) თეორია ევფემიზმების შესახებ, რომლის თანახმად ევფემიზმები განუწყვეტლივ ვითარდება, რადგან დროთა განმავლობაში ხდება ძველი თავაზიანი ფორმების სტიგმატიზაცია.

ევფემიზმების ფუნქცია ბიზნესის ენაში

თანამედროვე ინგლისურენოვან ბიზნეს კონტექსტში მეტყველების ევფემიზაცია სხვადასხვა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს. იგი ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციას საქმიანი გარემოსათვის დამახასიათებელი ეტიკეტის შენარჩუნებითა და პოზიტიური ურთიერთობების ხელშეწყობის საშუალებით. კორპორაციულ გარემოში ევფემიზმები ჩვეულებრივ გამოიყენება ნეგატიური ამბების შესარბილებლად, კორპორაციული იმიჯის გასაძლიერებლად და ეთიკური ურთიერთობის უზრუნველსაყოფად.

ჩვენი საკვლევი მასალების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ევფემიზმების რამდენიმე საინტერესო ფუნქციას, რომელიც საქმიანი სტილის მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი.

1. ნეგატიური ინფორმაციის შერბილების ფუნქცია

ბიზნეს ინგლისურ ენაში ევფემიზმების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს არასასურველი, უსიამოვნო ინფორმაციის შენიღბვა მისი ნეგატიური ზემოქმედების შერბილების მიზნით. მოსაუბრე ევფემიზაციის საშუალებით ცდილობს შეცვალოს და შეალამაზოს რეალობა. როგორც კრისტალი (Crystal, 1995) აღნიშნავს, კორპორაციული კომუნიკაცია ხშირად იყენებს ევფემიზმებს ისეთი თემების უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, როგორიცაა სამსახურიდან გათავისუფლება, ფინანსური ზარალი და ორგანიზაციული რესტრუქტურისა. მაგალითად, ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა *"downsizing"* ან *"rightsizing"* (წარმოების ან კომპანიის, ორგანიზაციის შემცირება) და *"workforce optimization"* (მომუშავეთა/მუშახელის ოპტიმიზაცია) ანაცვლებს *"job cuts"* (სამუშაოების შემცირება) ან *"Mass layoffs"* (მუშახელის დათხოვნა). გთავაზობთ კიდევ რამდენიმე მსგავსი დატვირთვის მქონე ევფემიზმს:

- *"reorganization"* (რეორგანიზაცია) → *"shutting down departments"* (განყოფილებების გაუქმება)
- *"flexible pricing strategy"* (მოქნილი ფასწარმოქმნის სტრატეგია) → *"charging different rates"* (სხვადასხვა ტარიფების დარიცხვა)
- *"negative cash flow"* (ნეგატიური ფულადი ნაკადი) – *"financial losses"* (ფინანსური ზარალი)

2. თავაზიანობის ფუნქცია

ბიზნეს გარემოში ევფემიზმების გამოყენება უზრუნველყოფს ტაქტიანად და თავაზიანი ფორმით კომუნიკაციას.

- **“letting go”** (განთავისუფლება) → **“terminating employment”** (შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა)
- **“constructive feedback”** (კონსტრუქციული უკუკავშირი) → **“criticism”** (კრიტიკა)
- **“strategic partnership”** (სტრატეგიული პარტნიორობა) → **“merger or acquisition”** (კომპანიების შეწყობა ან შესყიდვა)
- **“golden handshake”** (მოზრდილი ფულადი ჯილდო) → a generous severance package (სამუშაო კონტრაქტის შეწყვეტის კომპენსაცია)

3. კორპორაციული იმიჯის დაცვისა და დადებითად წარმოჩენის ფუნქცია

კომპანიები ეფექტურად იყენებენ ევფემისტურ ლექსიკას მათი საქმიანობის თუ გზავნილების დადებით ჭრილში წარმოსადგენად და საკუთარი სახელისა და რეპუტაციის დასაცავად. ასეთია, მაგალითად **“cost optimization”** (ხარჯების ოპტიმიზაცია) რომელიც ენაცვლება ფრაზას - **“budget cuts”** (ბიუჯეტის შემცირება); ან **“revenue enhancement”** (შემოსავლების გაზრდა) ნაცვლად **“price increase”** (ფასის ზრდა/მომატება)-ისა. მაგალითები კარგად ასახავს, თუ როგორ აყალიბებს ბიზნესი და კომერციული სფერო აღქმებსა და წარმოდგენებს ენობრივი საშუალებების სტრატეგიული, წინასწარ კარგად გათვლილი შერჩევის გზით.

- **“stakeholder engagement”** (დაინტერესებული მხარეების ჩართულობა) → **“damage control”** (ზიანის მართვა)

4. სამართლებრივი თუ ეთიკური თემების შერბილება-შენიღების ფუნქცია

დელიკატური, საჩოთირო ან ისეთი სამართლებრივი საკითხები, რომლებიც ფრთხილ და ტაქტიან მიდგომას საჭიროებს. ევფემიზმების დახმარებით მსგავსი თემები ნაკლებად შემამფოთებლად ჟღერს.

- **“regulatory compliance adjustment”** (მარეგულირებელი შესაბამისობის კორექტირება) → **“legal violation correction”** (სამართლებრივი დარღვევის გამოსწორება)
- **“creative accounting”** (კრეატიული აღრიცხვა) → **“financial manipulation”** (ფინანსური მანიპულაცია)
- **“ethically challenged”** (ეთიკურად წინააღმდეგობრივი) → **“unethical”** (არაეთიკური)
- **“data protection enhancement”** (მონაცემთა დაცვის გაუმჯობესება) → **“security breach response”** (უსაფრთხოების დარღვევის საპასუხო ქმედება)

5. შიდა თუ გარე კრიზისების მართვის ფუნქცია

ევფემიზმების გამოყენება კრიზისულ სიტუაციებში პანიკის არიდების ერთ-ერთ ეფექტურ ენობრივ საშუალებას წარმოადგენს. ირიბი სახელდების დახმარებით ორგანიზაციები ცდილობენ რეალობა უფრო ნეიტრალურ ჭრილში წარმოადგინონ.

- **“market correction”** (ბაზრის კორექტირება) → **“stock market crash”** (საფონდო ბირჟის კრაში)
- **“operational efficiency measures”** (გამართულად მუშაობის ზომები) → **“budget cuts”** (ბიუჯეტის შემცირება)
- **„economic downturn”** (ეკონომიკური ვარდნა) → **“recession”** (ეკონომიკური კრიზისი)

6. მარკეტინგული ფუნქცია

ევფემიზმისტური ფრაზები კომერციულ პროდუქტს, სერვისს ან გადაწყვეტილებებს უფრო პოზიტიურს და მიმზიდველს ხდის.

- **“value pricing”** (ფასეულობაზე დაფუძნებული ფასწარმოქმნა) → **“lower-quality alternative”** (დაბალი ხარისხის ალტერნატივა)

- **“premium membership”** (პრემიუმ წევრობა) → **“higher-cost subscription”** (ძვირადღირებული საწევრო გადასახადი)

7. მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის წახალისების ფუნქცია

თანამედროვე ინგლისურენოვან საქმიან გარემოში განსაკუთრებით აქტუალურია მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის საკითხები, რაც აისახება ენაზეც. ინკლუზიური ენის გამოყენებით ხდება ორგანიზაციებში პოზიტიური სამუშაო გარემოს შექმნის ხელშეწყობა.

- **“diversity hiring”** (მიზნობრივი რეკრუტირება) → **“affirmative action”** (აფირმაციული ქმედება, დამსაქმებლის მიერ დანერგილი პროგრამა, რომელიც მოიცავს სპეციფიურ საფეხურებს უმცირესობათა წარმომადგენლობის გასაზრდელად სამუშაო ადგილზე)
- **“inclusive leadership”** (ინკლუზიური მართვა) → **“equal opportunity compliance”** (თანაბარი შესაძლებლობები და შესაბამისობა)

8. სამუშაო გარემოში კონფლიქტების თავიდან არიდების ფუნქცია.

ეფემიზმები ჩნდება აგრეთვე სამუშაო გარემოში დამაბულობის განმუხტვის თავიდან აცილების მიზნით. ხელმძღვანელი პირები ხშირად იყენებენ არაპირდაპირ ენას დელიკატურ თემებზე კომუნიკაციისას, რათა თავიდან აიცილონ კონფლიქტი. ეფემისტური გამონათქვამების საშუალებით, მათ შეუძლიათ ზედმეტი დამაბულობის გამოწვევის გარეშე იმსჯელონ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ხელშეკრულების შეწყვეტა ან პროდუქტიულობის დაბალი მაჩვენებელი.

- **“performance improvement plan”** (პროდუქტიულობის გაუმჯობესების გეგმა) → **“disciplinary action”** (დისციპლინური ზომები) ან **“last warning before termination”**
- **“workforce agility”** (მომუშავეთა/მუშახელის მოხერხებულობა/ოპერატიულობა) - **“increased workload”** (გაზრდილი სამუშაო დატვირთვა)
- **“constructive feedback”** (კონსტრუქციული უკუკავშირი) → **“criticism”** (კრიტიკა)
- **“growth opportunity”** (ზრდის შესაძლებლობა) → **“work overload”** (სამუშაო გადატვირთვა)
- **“synergy creation”** (სინერგიის შექმნა) → **“merging departments”** (განყოფილებების შერწყმა/გაერთიანება)
- **“employee engagement strategy”** (თანამშრომელთა ჩართულობის სტრატეგია) → **“retention efforts”** (შენარჩუნების ძალისხმევა)

დასკვნა

ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეტყველების ეფემიზაცია მნიშვნელოვანი ენობრივი მოვლენაა ინგლისურენოვან ბიზნეს გარემოში და მას არა ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია. ეფემიზმების გამოყენება ბიზნეს ინგლისურში არა მხოლოდ ეტიკეტისა და თავაზიანობის გამოვლინების საშუალებაა, არამედ სტრატეგიული კომუნიკაციის აუცილებელი ინსტრუმენტი. მეორე მხრივ, ყურადსაღებია, რომ ეფემიზმების გამოყენება უნდა ხდებოდეს ზომიერად და მიზნობრივად, რათა მათი გადაჭარბებული გამოყენებით არ გამოვიწვიოთ დაბნეულობა და გაურკვევლობა კომერციული თუ სხვა საქმიანი ურთიერთობებისას.

ლიტერატურა:

1. Allan, K., & Burridge, K. (2006). *Forbidden Words: Taboo and the Censoring of Language*. Cambridge: Cambridge University Press.
2. Allan, K., & Burridge, K. (1991). *Euphemism and Dysphemism: Language Used as Shield and Weapon*. Oxford: Oxford University Press.
3. Bussmann, H. (1996). *Routledge Dictionary of Language and Linguistics*. Translated and edited by Gregory Trauth and Kerstin Kazzazi. London: Routledge
4. Crespo-Fernández, E. (2008). Euphemism and Political Discourse in the British House of Commons. *Journal of Pragmatics*, 40(1), 95-110.
5. Crystal, D. (1995). *The Cambridge Encyclopedia of the English Language*. Cambridge: Cambridge University Press.
6. Lakoff, G., & Johnson, M. (1980). *Metaphors We Live By*. Chicago: University of Chicago Press.
7. Pinker, S. (2007). *The Stuff of Thought: Language as a Window into Human Nature*. New York: Penguin Books.
8. Rawson, H. (1981). *A Dictionary of Euphemisms and Other Doubletalk*. New York: Crown Publishers.
9. Ullmann, S. (1964). *Semantics: An Introduction to the Science of Meaning*. Oxford: Blackwell.
10. ჟურნალი "The Economist" - <https://www.economist.com/>
11. ჟურნალი "Time" - <https://time.com/>
12. ჟურნალი "Entrepreneur" - <https://www.entrepreneur.com/magazine>
13. ჟურნალი "Diversity Women" - <https://www.diversitywoman.com/>
14. <https://workplace.stackexchange.com/>

Some Issues of Using Euphemisms in Business English Discourse

Shashviashvili Ketevan

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

Language plays a crucial role in business communication. It serves as the foundation for effective collaboration and relationship-building. In today's globalized world, and therefore, the economy, the strategic use of English language promotes international cooperation in the field of business and strengthens intercultural relations. Business English is characterized by the use of formal, professional terminology, yet sometimes speaking directly can sound rude or harsh. That is why the process of speech euphemization i.e. the use of embellished words, takes place. The purpose of the given paper is to study the euphemistic words and expressions that are common in the business English language. In this study attempted to determine which euphemisms are commonly used in the field of business and what their functions are. It should be emphasized that clear and precise communication is of crucial importance in business relations. Therefore, it is recommended to maintain a balanced use of euphemisms in order to avoid ambiguity or misinterpretation that can hinder effective communication. In conclusion, we believe that the study of euphemisms and the determination of their linguistic functions in the business context is necessary and relevant for both linguists and business professionals. This study mainly employs the method of linguistic observation and description. The linguistic data for the research were obtained from English language articles and interviews.

Key words: *Business English, euphemisms, euphemization, business discourse, functions of euphemisms*